

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N9

22 მარტი 2016 წ.

ქ. ყვარელი

**„ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

**მუხლი 1**

„ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №26 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 04/08/2014 წ, 010250020.35.164.016128) დამტკიცებულ ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;“

2. ამოღებულ იქნეს დებულების მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი;

3. დებულების მე-2 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გამგეობის სისტემაში ასიგნებების განაწილებებისა და ხარჯების კანონიერების, მიზნობრივი განკარგვის, მატერიალური ფასეულობების და სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის რისკის მართვის ხარისხის შეფასება;“.

4. დებულების მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შიდა აუდიტის განხორციელებამდე შიდა აუდიტის ობიექტს წარუდგინოს აუდიტორული შემოწმების ინდივიდუალური გეგმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შემოწმების ხასიათიდან და კონკრეტული საქმის მასალების თავისებურებიდან გამომდინარე მოზანშეწონილია შემოწმების ჩატარება შემოწმების ობიექტის წინასწარ ინფორმირების გარეშე;“

5. დებულების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შიდა აუდიტის ანგარიში წარუდგინოს გამგებელს და საკრებულოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 თებერვლამდე;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.